შპს „დარიალი“

LTD „Dariali”

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი, №34
საფოსტო ინდექსი: 0177, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204876189

Legal address: №34, Al. Kazbegi Avenue, Tbilisi City, Georgia
Postal code: 0177, Identification number: 204876189

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

7 ივნისი 2021წ.

წინამდებარე მინდობილობის ძალით, მე, გიორგი კიკვაძე (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01030000530), როგორც **შპს „დარიალი”-ს** (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204876189) **დირექტორი** (შემდგომში **„მარწმუნებელი”**) **უფლებამოსილებას ვანიჭებ:**

სოფიკო მახარაძეს (საქართველოს მოქალაქე; დაბადებული 30.03.1991 წელს თბილისში; პირადი ნომერი: 01030050940; რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, გოგი დოლიძის ქუჩა, №21)

რათა მან, მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან – მიწის ნაკვეთთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, გამზირი ალ. ყაზბეგი, №34; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 3103.00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.218) დაკავშირებით, კერძოდ, მშენებლობის ნებართვის აღებასთან დაკავშირებით **წარმოადგინოს მარწმუნებელი** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში (მათ შორის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, თბილისის მუნიციპალურ ინსპექციაში), სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ არქივში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ასევე ნებისმიერ სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან ურთიერთობაში, ზემოხსენებულის გარდა ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოში; **მარწმუნებლის სახელით** წარადგინოს სამშენებლო და სანებართვო დოკუმენტაცია შესათანხმებლად, შეათანხმოს ცვლილებები სამშენებლო თუ სანებართვო დოკუმენტაციაში, აწარმოოს საქმეები მარწმუნებლის კუთვნილი უძრავი ქონების – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შეთანხმებასთან, სამშენებლო პროექტის შეთანხმებასთან და კორექტირებასთან დაკავშირებით, განახორციელოს დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა, გამოითხოვოს და წარადგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია, აიღოს მშენებლობის ნებართვა, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადა, გადაიხადოს (საჭიროების შემთხვევაში უკან დაიბრუნოს) მომსახურების საფასური თუ სხვა დანიშნულების თანხა, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან გვ ზემპლარად.

შპს „დარიალი“-ს დირექტორი
გიორგი კიკვაძე